საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №77
2022 წლის 17 მარტი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ:

1. დანართი №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბიუჯეტის განმკარგველის – 5147 – ა(ა)იპ – რაგბის გუნდი „ფენიქსი“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველი:

„

1508	5148	ა(ა)იპ – ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მრავალფუნქციური საცურაო კომპლექსი

“;

ბ) ამოღებულ იქნას შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

„

475	4115	ააიპ – თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი
490	4130	ააიპ – ქ თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე
526	4166	ააიპ – თბილისის მერიის მ. კეკელიძის სახელობის კალათბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრი
552	4192	ააიპ – საქართველოს ახალგაზრდობის საინფორმაციო ცენტრი
555	4195	სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო

“;

2. დანართი №3-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი:

”

სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაწეული მომსახურების საფასური	7126

“;

ბ) ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდის – 7344 - სსიპ – საქართველოს ეროვნული მუზეუმი – ქართული სპორტის მუზეუმის მიერ გაწეული მომსახურების საფასური – შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი:

”

სსიპ – „საქართველოს ეროვნული მუზეუმი - სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მიერ გაწეული მომსახურების საფასური“	7345

“;

გ) ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდის – 7345 – სსიპ – საქართველოს ეროვნული მუზეუმი – სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მიერ გაწეული მომსახურების საფასური – შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი:

”

სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაწეული მომსახურების საფასური	7346

“;

დ) ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდის – 8800 – თვითმმართველი ერთეულების დეპოზიტები შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი:

”

ავტონომიური რესპუბლიკების დეპოზიტები	8880

“.

მუხლი 2

1. ეს ბრძანება, გარდა ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2022 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**